ხელშეკრულება№73
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი „ 27 “ დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი), მისი სამხატვრო ხელმძღვანელის – ვახტანგ კახიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი“ (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი გენერალური დირექტორის – ~~იემურ ტოხაძის~~ სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ავტომანქანის ავტოტექმომსახურების შესყიდვა (CPV-50110000), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – 302 (სამას ორი) ლარს, დღგ –ს ჩათვლით.

2.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ფასი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

2.4. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან. მსუბუქი და ნახევრად სატვირთო (მიკროავტობუსები) საბურავების რეალიზაციის დროს, საქონლის სარეალიზაციო ფასი მოიცავს მისი მონტაჟისა და ბალანსირების ღირებულებას, გარდა ბრონირებული და რგოლებიანი დისკების მქონე ავტომობილებისა.

სატვირთო საბურავების სარეალიზაციო ფასი მოიცავს მისი მონტაჟის ღირებულებას, გარდა 20 დიუმიანი სატვირთო საბურავების, სასოფლო სამეურნეო და სპეც. ტექნიკის, დამტვირთველების საბურავებისა.

ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის სარეალიზაციო ფასი მოიცავს მისი შეცვლის ღირებულებას.

აკუმულატორების სარეალიზაციო ფასი მოიცავს მისი მონტაჟის ღირებულებას, გარდა არასტანდარტული შემთხვევებისა (აკუმულატორის მონტაჟი საბარგულში, სავარძლის ქვეშ), ასეთ შემთხვევაში აკუმულატორის მონტაჟის ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად, გაწეული მომსახურების სირთულიდან გამომდინარე.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია გადაცემის დროს ჩაატაროს შესყიდვის ობიექტის შემოწმება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს – მიხეილ გოგაძეს.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

მოწერის დღიდან 2017 წლის 5 თებერვლამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს – ვახტანგ კახიძე, ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

13.3. მიმწოდებელი პასუხს აგებს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი მიღება - ჩაბარების აქტზე ხელის მოწერის დღიდან 2 დღის განმავლობაში, და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება მიმწოდებელი ვალდებულია 2 დღეში ან გამოასწოროს წუნდებული მომსახურება ან დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს

კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის №123-125.	შ.პ.ს. „ თეგეტა მოტორსი “ ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე - 12 კმ. №5
სახელმწიფო ხაზინა	სს " თიბისი ბანკი"-ს ც/ფ
კოდი: TRESGE22 ხაზინის ერთიანი ანგარიში ს/კოდი: 202055319	კოდი: TBCBGE22 ა/ა № GE80TB0600000024467853 ს/კოდი: 202177205
ვახტანგ კახიძე სსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი	შ.პ.ს. „ თეგეტა მოტორსი “-ს გენერალური დირექტორი